

F17
1971

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
მუნიციპალური განათლების და კულტურის მინისტრი
ბეჭედის მინისტრი
ბეჭედის მინისტრი

კრებული СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

6

0 8 6 0 6 0

თაღილის 1971

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.

3 ივნისის ბრძანება № 316

საბჭოთ საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის
50 წლისთავისათვის ხობის, ონისა და ცაგერის რაიო-
ნების განათლების განყოფილებათა მიერ აღებული
ვალდებულებების შესრულების შესახებ

გავეცანი რა ხობის, ონისა და ცაგერის რაიონების განათ-
ლების განყოფილებათა მიერ საბჭოთ საქართველოსა და საქარ-
თველოს კომპარტიის 50 წლისთავისათვის აღებულ ვალდებულე-
ბათა შესრულების შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ამ დიდი
ისტორიული თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის ფართო მოსა-
მზადებელი მუშაობა დროულად გაიშალა.

გარკვეული მუშაობა არის გაწეული საყოველთაო სავალდე-
ბულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისათვის. აღნიშნუ-
ლი საკითხი განხილულია რაიიონის ბიუროებსა და მშრომელთა
დებუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე, აგრეთვე განათ-
ლების საბჭოს სხდომებზე.

ხობის განათლების განყოფილებაში (გამგე ამხ. შ. ხარებავა) სკოლების მიხედვით გახსნილია საქმე—საყოველთაო სავალდებუ-
ლო სწავლების გატარების მიმდინარეობის შესახებ. მოსწავლეთა
სიებში სასტემატურად შეაქვთ სათანადო ცვლილებები სკოლები-
დან წარდგენილი საბუთების საფუძველზე. საყოველთაო სავალდე-
ბულო რვაწლიანი სწავლება კარგად არის გატარებული მობის
რაიონის შეა ქვალონის (დირექტორი ა. ცხადაია, პირველი ჩოტ-
ტის (დირექტორი არქ. წურწუმია), ნოვიხევის (დირექტორი ა.



გოგია), ფორსის (დირექტორი ნ. კუპავა), პირველი მაისის // დირექტორი ვ. ბუკია) საშუალო და საგვარიოს (დირექტორი ევ. ლომაა), ყულევის (დირექტორი ზ. სამურკასოვი) რვაწლიანის სკოლებში; ონის რაიონის სორის საშუალო (დირექტორი ი. კერვალიშვილი), ბარის რვაწლიან (დირექტორი შ. ჯინჭარაძე) სკოლებში; ცაგერის რაიონის ტვიშის (დირექტორი ნ. ასათიანი), და ცაგერის (დირექტორი ს. კოპალიანი), ილგანის (დირექტორი ვ. სვანიძე) საშუალო სკოლებში. ხობის რაიონში დანიშნულებით არის გამოყენებული საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდი 9 ათასი მანეთის რაოდენობით.

შემოწმებული რაიონების ზოგიერთი სკოლა ყურადღებით ეკიდება საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის საკითხს. ხობის რაიონის თორისის საშუალო სკოლის 24 რვაკლასდამთავრებულიდან IX კლასში სწავლობს 22 მოსწავლე, საგვიჩიოს რვაწლიანის სკოლის 13 რვაკლასდამთავრებულიდან 11, შუა ქვალონის საშუალო სკოლის 14 რვაკლასდამთავრებულიდან 10, ცაგერის რაიონის ტვიშის საშუალო სკოლის 15 რვაკლასდამთავრებულიდან—13, ილგანის საშუალო სკოლის 10 რვაკლასდამთავრებულიდან—9, ხოლო ოყურეშის საშუალო სკოლის 14 რვაკლასდამთავრებულიდან—5 ყველა.

მიუხედავად ამისა, შემოწმებული რაიონების რიგ სკოლებში აღგილი აქვს ნაკლოვანებებს. ონის პირველ საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. დავლიანიძე) უმიზეზოდ გასული არიან V კლასის მოსწავლე შ. ჩაჩაშვილი და VII კლასის მოსწავლე დ. ხიტიბაშვილი. ამავე სკოლიდან ავადმყოფობის გამო გასული არიან ი. ხანანაშვილი და რ. ჭანჭალაშვილი, ხოლო ონის მეორე სკოლიდან (დირექტორი ნ. კერესელიძე)—ე. ხახიაშვილი, რომელთა სპეციალურ სკოლებში მოსაწყობად სკოლის დირექტორებს ზომები არ მიუღიათ. გათხოვების გამო სკოლებს ჩამოშორდნენ ონის პირველი სკოლიდან. ე. ტატულაშვილი (VI კლასი), ც. ჩახაშვილი (VIII კლასი) და ონის მეორე სკოლიდან: რ. ჩახაშვილი (VIII კლასი) და ნ. ხახიაშვილი (VII კლასი).

რიგი სკოლების დაწყებით კლასებში აღგილი აქვს მოსწავლეთა დატოვების შემთხვევებს. მიმდინარე სასწავლო წელს ხობის რაიონის სკოლების I-III კლასებში 73 მეორეშლიანი მოსწავლე სწავლობს. მათ შორის პირველ კლასებში—31, II კლასებში—23 და III კლასებში—19.

გარევეული მუშაობაა ჩატარებული სკოლების მატერიალური გაზის განმტკიცებისათვის. გასულ წელს ექსპლოატაციაში შევიდა ხობის რაიონის საჯიჯაოს რვაწლიანი სკოლის შენობა (192 მლს წავლებე), რომელიც ააშენა ამავე სოფლის კოლმეურნეობამ; სა-ჯირის რვაწლიან სკოლას ხამისკურის უდანოვის სახელობის კოლ-მეურნეობამ მიაშენა 12 ოთახი; ხეთის კოლმეურნეობამ საბავშვი გალისათვის გადასცა 6 ოთახიანი შენობა; მშენებლობის პროცესშია და 20 აგვისტოსათვის დამთავრდება ქარიატის საშუალო სკო-ლის შენობა 288 მოსწავლეზე, ხოლო ნოვიხევის საშუალო სკოლას მიშენდება 15 ოთახი; შეუ ხორტის „სამკურნალო მცენარეთა“ საბ-ჭოთა მეურნეობა აშენებს საშუალო სკოლას 420 მოსწავლეზე.

ცაგერის საშუალო სკოლას აღვილობრივი სახსრებით მია-შენეს 4 საკლასო ოთახი და სპორტდარბაზი, ხოლო უსახელოს რვაწლიან სკოლაზე ამჟამად მიმდინარეობს 14 ოთახის მიშენება; სამტრესტის სამმართველომ სოფელ ტვიშის სასკოლო ინტერნატი-სათვის გადასცა შენობა. სახელმწიფო კაპლაბანდების თანხებით აგებულია ბარდნალის საშუალო სკოლა, ხოლო ლასორიოს საშუა-ლო და რხევის რვაწლიან სკოლებს მიუშენეს 4-4 ოთახი; ლაი-ლაშის საშუალო სკოლის რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა 15 ათასი მანეთი.

ონის რაიონის ბარის რვაწლიან სკოლას გადაეცა ახალი შე-ნობა, ხოლო სორის საშუალო სკოლას მიაშენეს 6 საკლასო ოთახი და მთაწყვეტ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები.

საგრძნობლად გაუმჯობესდა კაბინეტ-ლაბორატორიების ახა-ლი ხელსაწყოიარალებითა და ტექნიკური საშუალებებით შევსების საქმე. გასულ წელს ხობის რაიონის სკოლებისათვის შეიძინეს 8170 მანეთის სასწავლო ხელსაწყო-იარალები, ხოლო მიმდინარე წელს—8500 მანეთის. რაიონში შეზიდულია 16107 მანეთის ახალი ინვენტარი. მათ შორის, სპეცსახსრებით—2606 მანეთის. ცაგერის რაიონის სკოლებისათვის შეძენილია 8 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარალები და 18 ათასი მანეთის ინვენტარი.

ამასთან ერთად ხობის, ონისა და ცაგერის რაიონების ბევრ სკოლაში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები შეუფერ-ბელ ოთახებშია მოთავსებული და ღარიბია ხელსაწყო-იარალებით. ამ მხრივ ცუდ პირობებშია ონის I და II, ცაგერის რაიონის ლაი-ლაშისა და ბარდნალის საშუალო სკოლები.

საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასცლასათვის სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განზრების სითვის,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ხობის, ონისა და ცაგერის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებმა (ამს. შ. ცხადაია, ვ. მაისურაძე, ქ. გოდოლაძე):

ა) არ დაუშვან სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის. არც ერთი შემთხვევა, პედაგოგიური კოლექტივისა და მშობლების ერთობლივი ღონისძიებების გატარების შედეგად უზრუნველყონ მოსწავლედა კონტრინგენტის მთლიანად შენარჩუნება;

ბ) გადაჭრით აამაღლონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მკეთრად გააუმჯობესონ მუშაობა მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, უზრუნველყონ მოსწავლეთა მიერ პროგრამის მთლიანად ათვისება;

გ) განათლების საბჭოების სხდომებზე პერიოდულად (შერჩევით) მოისმინონ სკოლის დირექტორების ანგარიში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასცლის დამთავრებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის მომზადების მდგომარეობის შესახებ.

დ) მტკიცედ იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს 1994 წლის 28 თებერვლის (№ 171) ბრძანებით და არ დაუშვან სავალდებულო სწავლების სასკოლო ასაკის ბავშვების ჩარიცხვა სალამოს სკოლებში;

ე) აღვილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით მიიღონ საჭირო ზომები საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

2. დაევალოს ონის პირველი და მეორე სკოლის დირექტორებს (ამს. ამს. შ. დავლიანიძე, ნ. კერქესელიძე) გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, პედაგოგიური კოლექტივის მეშვეობით ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარონ მშობლებს შორის არასრულწლოვან მოსწავლე გოგონების გათხოვების აღსაქვეთად.

მიიღონ ზომები სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა საღამოს
სკოლის შესაფერის კლასებში მოსაწყობად, რადგანაც იხინი ესაზღვრება
კით არ შეეფერებიან მასიურ სკოლას.

საფუძველი; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1971 წლის 11 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.
19 გაისის ბრძანება № 295

რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევების თაობაზე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1971 წლის 1-ლი აპრილის დადგენილების შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შეირმადინარე წლის მარტის თვეში ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობაში არსებული გარეეფული წარმატებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებსა და დარღვევებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში არ არის შესრულებული 1970—1971 სასწავლო წლის აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმა. სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ 22.000 აღსაზრდელის ნაცვლიდ სასწავლო წლის დასაწყისში ირიცხებოდა 21426, ხოლო 1971 წლის 1-ლი თებერვლისათვის 20.632 აღსაზრდელი.

სკოლა-ინტერნატების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ სუსტადაა დაყენებული სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა. ჯავისა და მარნეულის სკოლა-ინტერნატებში სასწავლო წლის 1 ნახევრის ბოლოს ვერ ასწრებდა თითქმის ყოველი მესამე ან მეოთხე მოსწოდელე. წულუკიძის, გეგმებორისა და ქუთაისის საშუალო, წითელწყაროს, თეთრიწყაროსა და ქუთაისის რვაწლიან სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება ვერ პასუხობს საღლეისო მოთხოვნებს.

ზოგიერთი სკოლა-ინტერნატის დირექტორი და მისი მოადგილე საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ვერ უწევენ მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობას, იშვიათად ესწრებიან

მათ გაკვეთილებსა და მეცადინეობებს, სათანადოდ ვერ წარმართავენ მათ საქმიანობას. ქუთაისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების დირექტორი შ. კაკაბაძე მიმდინარე წლის იანვარსა და ოქტომბერში არც ერთხელ არ დასწრებია მასწავლებლებს გაკვეთილზე, ხოლო მის მთადგილებს სასწავლო დარგში ს. ჭუმბურიძეს მოსმენილი პერნდა მხოლოდ 4 გაკვეთილი.

რიგ სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელებისათვის ჯერ კიდევ არა შექმნილი სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები, ისინი უზრუნველყოფილი არ არიან ნორმით დაწესებული აუცილებელი ინვენტარით.

ქუთაისის საშუალო და რვაწლიან, წულუკიძის, გეგეჭიორის, თელავის, ახმეტის, წითელწყაროს ზოგადსაგანმანათლებლო, თბილისის № 1 და № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატებს არ ყოფნით მაგარი ინვენტარი და სასადილოს ჭურჭელი. მარნეულის, წულუკიძისა და გეგეჭიორის სკოლა-ინტერნატებში არა აქვთ ნორმით გათვალისწინებული ლრგინის თეორეული. ასეთ პირობებში მყოფი ზოგიერთი სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელი კი არასწორად იყენებს ინვენტარის შესაძენად გამოყოფილ თანხებს. გეგეჭიორის სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი მ. მამარდაშვილი) 1969—1970 წლებში ინვენტარის შესაძენად გამოყოფილ 51.3 მანეთიდან 18.4 ათასი მანეთი არადანიშნულებისამებრ დახარვება, ხოლო მარნეულის სკოლა-ინტერნატმა (ყოფილი დირექტორი ა. ქერიმოვი) 1970 წელს ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი თანხიდან ვერ აითვისა თოვჭმის 1000 მანეთი.

ზოგიერთ შემოწმებულ სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არ არიან ნორმით დადგენილი ზედა ტანსაცელით, საცვლებითა და ფეხსაცმლით. მარნეულის სკოლა-ინტერნატს ნაცვლად დაწესებული 3 ხელი საცვალისა გააჩნია მხოლოდ ერთი. ქუთაისის საშუალო სკოლე-ინტერნატს არ აქვს საცხოვ რაოდენობით მაისურები და შარვლები. წითელწყაროს სკოლა-ინტერნატს 160 გამოსათვის გააჩნია მხოლოდ 23 პერანგი და არა აქვს საქმით რაოდენობით მაისურები. ანალოგიური მდგომარეობა ქუთაისის რეაწლიან, აბმეტის, თელავის, წულუკიძის, თეთრიწყაროს, გეგეჭიორის ზოგადსაგანმანათლებლო და თბილის ლაშქმარე სკოლა-ინტერნატებში.

განსაკუთრებული სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები შეინიშნება სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა კვების ორგა-

ნიზაციისა და სასურსათო პროდუქტებით მომარავების საჭმეში. სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნებიც გვიგამოიტანეს ამ საკითხზე ზემდგომი ორგანოების დადგენერაციული დან, რის შედეგადაც კვლავინდებურიად აღგილი იქვს ბავშვებისათვის ნორმით დადგენილი. ძირითადი პროდუქტების მიუცემლობის ფაქტებს.

წითელწყაროს სკოლა-ინტერნატში (დირექტორი გ. ბეგლაროვი) 1970 წელს არ შეზიდეს და აღსაზრდელებს დააკლებ 22.4 ტონა პროდუქტი. ამასთან ერთად აღსაზრდელის კვებაზე დღიურად ნაცვლად 94 კაპიკისა საშუალოდ დაიხარჯა 91 კაპიკი და აუთვისებელი დარჩა 4402 მანეთი.

მარნეულის სკოლა-ინტერნატში (ყოფილი დირექტორი ა. ქერიმოვი) გასულ წელს ბავშვებამდე არ იქნა მიტანილი 40.3 ტონა პროდუქტი. ამასთან ერთად აღსაზრდელის კვებაზე დღიურად ნაცვლად 94 კაპიკისა საშუალოდ დაიხარჯა 91 კაპიკი და აუთვისებელი დარჩა 4402 მანეთი.

ახმეტის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი მ. ალდამოვი) 1970 წელს არ იქნა შესყიდული და აღსაზრდელებამდე დაყვანილი ნორმით გათვალისწინებული 40 ტონა სტკადასხვა პროდუქტი. ამ აღსაზრდელებს არ ექლეოდათ აშალი რძე, ლობიო, მცენარეული ზეთი, თევზეული.

პროდუქტების დიდი რაოდენობა არ იქნა შესყიდული და აღსაზრდელებამდე დაყვანილი ჯავის, თელავის, თბილისის მუსიკალურ და № 1 დამხმარე, წულუკიდის სკოლა-ინტერნატებში.

სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელების წაყრუების შედეგად მარნეულის, წულუკიდის, გვევჭყორის, ახმეტის, წითელწყაროს, ჯავის რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებს ინტერნატებში შეპქონდათ ზოგიერთი ძვირად ღირებული ხასურსათო საქონელი, როგორიცაა: ხორცის კონსერვები, შურაბები, შოკოლადის კანფეტი, შესქელებული რძე და სხვა, რის გამო სკოლა-ინტერნატებში აღგილი პქონდა კვებისათვის გამოყოფილი თანხების გადახარჯვას. ამასთან კარტოფილს ყიდულობდნენ 40—56 კაპიკად, კომბოსტოს—45 კაპ., რძეს—32 კაპ., პურს 28 კაპიკად და ა. შ.

სკოლა-ინტერნატებში ხათანადო ყურადღებას არ აქცივებს კერძების დამზადების ხარისხისა და მის მრავალფეროვნების; ხშირ შემთხვევაში მენიუ—გაანგარიშებას აუგენს სკოლა-ინტერნატის ბუბალტერი, რომელსაც ფორმალურად ხელს აწერენ მედიცინის მუშავი და ინტერნატის დირექტორი. ყოველთვის არ ხდება დამზადებული კერძების კალორიულობის გამოთვლა. წულუკიდისა და

ეგვერების სკოლა ინტერნატებში რატომლაც შემოღებულია 3-ჯე-
რადი ქვება.

ზოგიერთ სკოლა-ინტერნატში არ არის დაცული სანიტარული ურთისა-
პიგიენური პირობები, სისუფთავე და წესრიგი.

ახმეტის სკოლა-ინტერნატში ცენტრალური გათბობის სისტე-
მის დაზიანების გამო არ თბებოდა სასწავლო კორპუსი; საძინებელ
კორპუსში ზოგან ჩამონვრეულია ბათქაში; სველ წერტილებში
ანტისანიტარია სუფევს; პირსაბან ოთახებში დაზიანებულია წყალ-
გამტარი მილები და ნიუარები; პირსაბნებისა და საპირფარეცვე-
ბის ერთი ნაწილი გაუქმებულია; არ არის გამოყოფილი უფროსი
კლასის გოგონებისათვის პიგიენის ოთახი, საკლასო და საძინებელ
ოთახებში, იზოლაციონისა და საპირფარეცვებში ჩამტვრეულია მი-
ნები; კეთილმოუწყობელია სკოლა-ინტერნატის ტერიტორია.

სრული ანტისანიტარია სუფევს მარნეულის სკოლა-ინტერ-
ნატში. აქ წლობით არ მუშაობს სანიტარული კვანძები და კანა-
ლიზაცია; მოუწესრიგებელია წყლით მომარავების საქმე; ტერი-
ტორია შემოუკავებელი და კეთილმოუწყობელია. მიუხედავად ამი-
სა, მარნეულის განათლების განყოფილება (გამგე ამხ. - ი. გეიდა-
როვი) არ ღებულობს ქმედით ლონისძიებებს სკოლა-ინტერნატის
მუშაობის ნორმალურად წარმართვისა და აღსაზრდელთა საყოფა-
ცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

სკოლა-ინტერნატების თითქმის ნახევარს არა აქვთ დამხმარე
მეურნეობები. ზოგიერთი მათგანი მცირე შემოსავლიანია, წამგე-
ბიანია. რიგ შემთხვევებში ინტერნატები არ აწარმოებენ დამხმარე
მეურნეობებიდან მიღებული შემოსავლის ზუსტ აღრიცხვას.

სკოლა-ინტერნატების საქმიანობაში არსებული ზემოხსენებუ-
ლი და სხვა ნაკლოვანებები გამოწვეულია სკოლა-ინტერნატების
დირექტორების ჯერ კიდევ მოუქნელი, სუსტი მუშაობითა და ამ
ტიპის დაწესებულებებისადმი სახალხო განათლების აღგილობრივი
ორგანიზების არასაკმაო დამხმარებითა და ხელმძღვანელობით.

განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა თა საბავ-
შვო სახლების, მომარავებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართვე-
ლოები, საკონტროლო-სარევაზიონ და კაპიტალური მშენებლობის
განყოფილებებთ ჯერ კიდევ არასაკმაოდ აკონტროლებენ და ზათა-
ნადღდ ფერ წარმართავენ სკოლა-ინტერნატების საქმიანობას რეს-
პუტლიფიზი.



1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრის დამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატების ოლიაზრდელთა კონტინგენტის გეგმის შესრულებისათვის; მკეორად გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელ ობითი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი; ამაღლონ სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის მაღალხარისხოვნად ათვისების საქმეში;

ბ) აღვილობრივი ხელმძღვანელი, ორგანოების ჩარევითა და დახმარებით მეცაცრად მოსთხოვონ სავაჭრო ორგანიზაციებს სკოლა-ინტერნატების შეუფერხებლად მომარიგება ნორმით გათვალისწინებული ყველა სახის სასურსათო საქონლით, მეტი ყურადღება დაუთმონ სკოლა-ინტერნატების ალიაზრდელთა კეგბის ორგანიზაციის და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის საქმეს;

გ) 1971 წლს 25 ივნისამდე განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ დაწვრილებითი ანგარიში სახალხო კონტროლის კომიტეტის 1971 წლის 1-ლი პპრილის დადგენილებისა და ამ ბრძანებაში აღნიშნული ზაკლოვანებების სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა და ოლიაზრდელთა მუშაობაზე; სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები, შეისწავლონ აღმზრდელთა მუშაობა და მიიღონ სკოლა-ინტერნატებში სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებას. შეისწავლონ მოწინავე აღმზრდელთა და მასწავლებელთა გამოცდილება და მოახდინონ მათი განზოგადება;

ბ) ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამოტეჩნილ მოსწავლეებს; აღმოფხვრან მეორეწლიანობის გამომწვევი მიზეზები;

გ) სისტემატურად იზრუნონ სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის; მოაწყონ თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი სასწავლო სახელოსნოები და კაბინეტ-ლაბორატორიები, სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, დასვენებისა-

და გართობის ოთახები, ამ საქმეზი ფართოდ გამოიყენონ საშეფო
ორგანიზაციების დახმარება;

დ) გაატარონ ზომები სკოლა-ინტერნატებში სანიმუშო ცანი-
ტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისათვის; განახორციელონ
მუდმივი კონტროლი ბავშვების ფიზიკურ განვითარებაზე, მათ
შრომით დატვირთვაზე, დღის რეჟიმის შესრულებაზე და სხვ.;

ე) გადამჭრელი ზომები მიიღონ აღსაზრდელთა კვების ორგა-
ნიზაციის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, იზრუნონ საჭირო რაო-
დენობის სასურათო საჭონლის მარაგის შესაქმნელად. მონაწილეო-
ბა მიიღონ კვების მენიუ—გაანგარიშების შედგენაში;

ვ) დაუყოვნებლივ შემოილონ სკოლა-ინტერნატებში ოთხჯე-
რადი კვება და არ დაუშვან მოძავალში კვების რეჟიმისა და ნორ-
მების დარღვევის არცერთი შემთხვევა; უზრუნველყონ კვების
ბლოკებში სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი;

ზ) არ დაუშვან აღსაზრდელთა კვებისათვის—გამოყოფილი
თანხების აუთვისებლობა ან გადახარჯვა;

თ) დაწესებულ ვადებში წარუდგინონ სავაჭრო ორგანიზა-
ციებს დეკადური, თვითური და კვარტალური განაცხადები სასურ-
ათო პროდუქტების საჭირო რაოდენობის მარაგის გასაანგარი-
შებლად და შესაქმნელად;

ი) მეცარად დასაჯონ მუშაქები, რომელთაც დანაშაული
მიუძღვით სახლობ კონტროლის კომიტეტის დადგენილებაში
აღნიშვნული ნაკლოვანებების არსებობაში;

კ) 1971 წლის 1-ელ დეკემბრამდე წარმოადგინონ ანგარიში
ამ ბრძანების შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. სკოლა ინტერნატების მასწავლებლებმა და აღმზრდელებმა
მაქსიმალურად გამოიყენონ სასწავლო წლის ბოლომდე დარჩენილი
დრო განვლილი მასალის განმეორებისა და მოსწავლეთა ცოდნის
განვითარების უზრუნველსაყოფად.

4. სკოლა-ინტერნატების მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანე-
ლობისა და აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობებისადმი
უყურადღებობისათვის სახალო კონტროლის კომიტეტის დაღენი-
ლებით გაღაყენებული ახმეტისა და წითელწყაროს სკოლა-ინტერ-
ნატების დირექტორები მ. ალდამოვი და გ. ბეგლაროვი დაოხვე-
ნის მენეჯერ დაკავებული თანამდებობიდან.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ:

ა) რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ
აღსაზრდელთა მოქალა-პატრონობის საქმეში არსებული სერიოზუ-
ლი ნაკლოვანებებისათვის მარნეულის სკოლა-ინტერნატის დაწყების
ტორს ა, ქერიმოვს გამოცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი
გაფრთხილებით (ამჟამად იგი განთავისუფლებულია სამუშაოდან),
ხოლო მარნეულის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს
ამხ. ი. გეიდაროვს სკოლა-ინტერნატის საქმიანობისადმი სუსტი
ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის გამოცხადა საყვე-
დური;

ბ) ქუთაისის განათლების განყოფილებამ ქუთაისის საშუალო
და რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის დირექტორებს გ. ბურჯანა-
ძეს და შ. კაკაბაძეს, მათ მოადგილებს ო. გოგელაშვილსა და ფ.
ჭუმბურიძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური;

გ) გეგეშვილის რაიონის განათლების განყოფილებამ ადმინი-
სტრაციული საჯარო და დოკუმენტის სკოლა-ინტერნატის
დირექტორის მოადგილეს ს. კოკაიას, სკოლა-ინტერნატის ექიმს
გ. გაბუნიას, შეფ. მზარეულს რ. რუხაიას;

დ) ახმეტის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა საწყობის გამგე
გ. შაშიაშვილი და შეფ. მზარეული მ. ქელებსაშვილი გაათავისუფ-
ლა სამუშაოდან, ხოლო ბუხბალტერ თ. ციცაიშვილს, დირექტორის
მოადგილეს სამეურნეო ნაწილში მ. მაისურაძეს და ექიმ ქ. ჭურ-
თაშვილს გამოუცხადა საყვედური;

ე) წითელწყაროს რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით წითელ-
წყაროს სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სამეურნეო
დარგში მ. ბენაშვილი მოხსნილია დაკავებული თანამდებობიდან,
ხოლო ბუხბალტერ გ. თამაზაშვილს გამოცხადა საყვედური.

6. სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-სააღმზრდელო შუშაობი-
სა და სამეურნეო საქმიასობის არადამატიურფილებლად დაყვნები-
სათვის გეგეშვილის, წულუკიძისა და ვაკის სკოლა-ინტერნატების
დირექტორებს მ. მამარდაშვილს, გ. თედორაძეს, ა. კოჩივას გა-
მოცხადათ საყვედური.

7. მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის ლაგოდხის,
თეთრიწყაროს, თბილისის მუსიკალური, № 1 და № 2
დამხმარე სკოლა-ინტერნატების დირექტორებს: შ. ჯანგერაძეს,
ვ. მამულაშვილს, ა. დალაქიშვილს, თ. სახელაშვილს, მ. დუდუქა-
ვას, ნ. ლუმიძეს მიეთითოთ.

8. მომარაგების და დამხმარე საწარმოთა სამმართველოშ
(ამ. ს. არველაძე) უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები და დაგენერა-
ციონი ნორმის შესაბამისად საჭირო რაოდენობის რბილი და მაღალი ინვეტარით, ფეხსაცმელ-ტანსაცმელით, ჭურჭლით და სხვ.

9. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილებამ (ამ. ვ. მაქაცა-
რია) სისტემატურად ჩაატაროს სკოლა-ინტერნატების სამეურნეო-
საფინანსო საქმიანობის შემოწმება. რეაგირების გარეშე არ დატო-
ვოს შემოწმების შედეგად გამოვლინებული ნაკლიანებანი და
დარღვევები.

10. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმარ-
თველომ (ამ. რ. კანდელაძი):

ა) საკონტროლო-სარევიზიო განყოფილებასთან ერთად 1971
წლის 20 ივნისამდე 10 სკოლა-ინტერნატში შეამოწმოს სახალხო
კონტროლის კომიტეტის 1971 წლის 1-ლი აპრილის დადგენილე-
ბისა და ამ ბრძანების შესრულების მიმღინარეობა და შედეგები
მოახსენოს კოლეგიას;

ბ) 1971 წლის 1-ელ ივლისისათვის მოამზადოს მოხსენებითი
ბარათი საქართველოს სსრ სახალხო შეკონტროლის კომიტეტში
წარიდალენად;

გ) მტკიცუ კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1971 წლის 11 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშვარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.
 24 გაისცის ბრძანება № 301

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების
 შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინის-
 ტროს სისტემის თანამდებობათა ნომენკლატურაში
 ცვლილებების შეტანის შესახებ

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
 სისტემის თანამდებობათა ნომენკლატურა და დაეგზავნოს იგი სა-
 მინისტროს ყველა ქვემდებარე დაწესებულებას სახელმძღვანელოდ
 (თან ერთვის).

2. ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლე-
 ბისა და რაიონების და ქალაქების რვაწლიანი სკოლების დირექ-
 ტორების თანამდებობანი აყვანილნი იქნენ საქართველოს სსრ გა-
 ნათლების სამინისტროს სააღრიცხვო-საკონტროლო ნომენკლა-
 ტურაში.

3. განათლების აღგილობრივ ორგანოთა ხელმძღვანელებმა:

ა) სკოლის მუშაკთა სამუშაოზე დანიშნენისა და განთავისუფ-
 ლების ღროს ზუსტიდ დაიცვან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო
 სკოლის წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნინი;

ბ) სკოლების დირექტორებისა და მათი მოაღილეების თანა-
 მდებობაზე დასანიშნავად შეარჩიონ სათანადო პედაგოგიური გა-
 ნათლებისა და გამოცდილების მქონე მუშაკები, რომლებიც მაღა-
 ლი ავტორიტეტით სარგებლობენ პედაგოგიურ კოლექტივში და
 შესწევთ უნარი წარმატებით გადაწყვიტონ სკოლის წინაშე დასმუ-
 ლი ამოცანები.

როგორც წესი, სკოლის დირექტორი და მისი მოაღილე
 უნდა იყვნენ სხვადასხვა ციკლის საგნების სპეციალისტები;

გ) არ დაუშვენ სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებელ-
 თა კადრების ჩშირი ცვალებადობა.


სკოლის მუშაქთა შემაღვენლობაში საჭირო ცვლილებები,
შეიტანონ სასწავლო წლის დასრულებისას.

4. მასწავლებელთა მცირე პედაგოგიურ დატვირთვაზე დადგინდება
იშვია, როგორც გამონაკლისი, უნდა მოხდეს საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს და შესაბამისად აფხაზეთის ასსრ, აჭა-
ფრის ასსრ განათლების სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის
ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების წინასწარი ნება-
რთვით.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების
განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) დააწესოს სისტემატური კონტროლი
განათლების დარგის მუშაქთა კადრების დანიშვნისა და განთავი-
სუფლების საქმეზე, პერიოდულად შეამოწმოს ადგილებზე ამ მი-
მართებით განათლების აღვილობრივი ორგანოების მუშაობა და
შედეგების შესახებ წარმოადგინოს სათანადო წინადადებანი სამი-
ნისტროს კოლეგიაზე განსახილვევად.

საუფლებელი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1971 წლის 11 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
 სისტემის ნომენკლატურის თანამდებობათა სის

№	დაწესებულების დასახელება	№	თანამდებობა
1	რაიონისა და ქალაქის სახალხო განათლების განყოფილება	1	გამგე
2	რაიონისა და ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტი	2	გამგის მოადგილე
3	რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტი	3	სასკოლო ინსპექტორი
4	საშუალო სკოლა და საშუალო სკოლა-ინტერნატი	1	გამგე
5	სალამოს (ცვლის) ზოგადსა-განმანათლებლო საშუალო და დაუსწრებელი საშუალო სკოლა	2	მეთოდისტი
6	ჩესპუბლიკური სალამოს (ცვლის) დაუსწრებელი საშუალო სკოლა	1	დირექტორი
		1	დირექტორი
		2	დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის-დარგში
		3	ინსპექტორი
		4	მასწავლებელი
		5	ბუღალტერი

1	2	3	4
7	რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი სპეციალური სკო- ლა, სანატორული და სპე- ციალური სკოლა-ინტერ- ნატები	1 2 3 4 5 6 7 8 9	დირექტორი დირექტორის მოადგილე სა- სწავლო და სააღმზრდელო მუშაობის დარგში მასწავლებელი აღმზრდელი ლოგოპედი ექიმი ბუღალტერი დამხმარე წარმოების და სა- წარმოო სახელოსნოს გამგე დირექტორის თანაშემწე სა- მეურნეო დარგში
8	რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი საშუალო სკოლა და სკოლა-ინტერნატი	1 2 3 4 5 6 7 8 9	დირექტორი დირექტორის მოადგილე სა- სწავლი და სააღმზრდელო მუშაობის დარგში დირექტორის თანაშემწე სა- მეურნეო დარგში
9	საჭავჭეო სახლი	1 2	დირექტორი დირექტორის მოადგილე სა- სწავლო სააღმზრდელო მუ- შაობის დარგში

1	2	3	4
10	პატარა ცემის და ჭობუ- ლეთის სატყეო სკოლა- სანატორიუმი	1 2 3 4 5 6 7	დირექტორი დირექტორის მოადგილე სა- სწავლო სააღმზრდელო მუ- შაობის დარგში მასწავლებელი აღმზრდელი ბუღალტერი დირექტორის თანაშემწე სა- მეურნეო დარგში ექიმი
11	ბაგა-ბაღი	1	გამგე
12	რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი ბაგა-ბაღი	1 2 3 4 5	გამგე აღმზრდელი ექიმი ბუღალტერი გამგის თანაშემწე სამეურ- ნეო დარგში
13	ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე .	1 2 3 4 5 6	დირექტორი დირექტორის მოადგილე სა- სწავლო და სააღმზრდელო მუშაობის დარგში განყოფილების გამგე კაბინეტის გამგე მთავარი ბუღალტერი დირექტორის თანაშემწე სა- მეურნეო დარგში
14	ნორჩ ტექნიკოსთა, ნატუ- რალისტთა რესპუბლიკუ- რი სადგურები	1 2 3 4 5	დირექტორი დირექტორის მოადგილე კაბინეტის გამგე მეთოდისტი ბუღალტერი

1	2	3	4
15	განათლების სამინისტრო- საღმი უშუალოდ დაქვე- მდებარებული რესპუბლი- კური მეთოდკაბინეტები	1 2 3 4	დირექტორი (გამგე) დირექტორის მოადგილე მეთოდისტი ბუღალტერი
16	o. ვიზებაშვილის სახელო- ბის სახალხო განათლების ბიბლიოთეკა	1 2 3 4 5	დირექტორი დირექტორის მოადგილე უფროსი ბიბლიოთეკარი ბიბლიოთეკარი ბუღალტერი
17	საბავშვო სათამაშოების მუზეუმი	1 2 3	დირექტორი მეცნიერმუშავი ბუღალტერი
18	სახალხო განათლების მუ- ზეუმი	1 2 3	დირექტორი მეცნიერმუშავი ბუღალტერი
19	უფროს პიონიერხელმძღვა- ნელთა რესპუბლიკური სკოლა	1 2 3	დირექტორი
20	საქამითველოს სსრ განათ- ლების სამინისტროს მას- წავლებელთა დახელოვნე- ბის ინსტიტუტი	1 2 3 4 5 6	დირექტორი დირექტორის მოადგილე სა- სწავლო მუშაობის დარგში კიბინეტის გამგე მეთოდისტი დირექტორის თანაშემწყე სა- მეურნეო დარგში ბუღალტერი

1	2	3	4
21	მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალი ქ. ქუთაისში, ბათუმში სოხუმში და ცხინვალში	1 2 3 4	ფილიალის დირექტორი ქაბინეტის გამგე შეთოდისტი ბუღალტერი
22	პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი	1 2 3 4 5 6 7 8 9 10	დირექტორი დირექტორის მოადგილე ქა- მეცნიერო დარგში განყოფილების გამგე სექტორის გამგე სწავლული მდივანი იგივე ასპირანტურის გამგე უფროსი მეცნიერ შუშაკი მეცნიერი მუშაკი უმცროსი მეცნიერ მუშაკი დირექტორის მოადგილე სა- მეურნეო დარგში ბუღალტერი
23	სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლა	1 2 3	დირექტორი მასწავლებელი ბუღალტერი
24	გაზეთი „სახალხო განათლება“	1 2 3 4 5 6	რედაქტორი რედაქტორის მოადგილე პასუხისმგებელი მდივანი განყოფილების გამგე ლიტერატური ბუღალტერი

1	2	3	4
25	უურნალი „სკოლა და ცხოვ- რება“	1 2 3 4 5	რედაქტორი პ/მგებელი მდივანი განყოფილების გამგე ლიტმუშაკი ბულალტერი
26	საქართველოს სსრ განა- თლების სამინისტროს კა- პიტალური მშენებლობის განყოფილებასთან არსე- ბული სახარჯთაღრიცხვო საპროექტო კანტორა	1 2 2	უფროსი ინჟინერი ბულალტერი
27	საქართველოს სსრ განა- ლების სამინისტროს კაპი- ტალური მშენებლობის გან- ყოფილებასთან არსებული ტექნიკური ზედამხედვე- ლობის ჯგუფი	1 2 3 4	ჯგუფის უფროსი უფროსი ტექნიკური ზედა- მხედველი ინჟ. ტექნიკური ზედამხ. ბულალტერი
28	მომარაგებისა და დამხმა- რე წარმოებათა სამხარ- თველო	1 2 3 4 5 6 7 8	უფროსი განყოფილების უფროსი ივივე უფროსის მოადგილე განყოფილების უფროსი საქონლის მცოდნე ეკონომისტი ბაზის გემგე ბულალტერი საბაზო მაღაზიის გამგე

1	2	3	4
29	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლა და ბავშვთა საციგურაო სპორტული სკოლა	1 დირექტორი 2 დირექტორის მოადგილე სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის დარგში 3 უფროსი მწვრთნელი 4 მწრავნელი 5 დირექტორის მოადგილე სამ. დარგში 6 უფროსი ბუღალტერი	
	აფხაზეთის და აჭარას ასსრ		
30	1. განათლების სამინისტრო 2. ჩაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილება	1 მინისტრი 2 მინისტრის მოადგილე განყოფილების გამგე 3	
	სამხრეთ ოსეთის ა/ოლქი	1	გამგე
31	1. ოლქის განათლების განყოფილება 2. ჩაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილება	1 გამგე 2 გამგის მოადგილე 3 სექტორის გამგე	
		1	გამგე

1	2	3	4
32	జ. తథిలొసి		
	1. జ. తథిలొసిసి సాథాలకో గానాతల్చెబిసి గాన్యుష్టిల్చెబా	1 2 3 4 5	గామగ్గె గామగిసి మొండ్గిల్లె కాఫర్కెబిసి ఇన్సప్చెక్టించరిం మేతండ్రుంబించెత్తిసి గామగ్గె స్కోలూమద్గెల్లిం అంథిర్లిసి మ్యే- తండ్రుంబించెత్తిసి గామగ్గె డా మేతండ్రిసిత్తిం
	2. రాంపినిసి గానాతల్చెబిసి గాన్యుష్టిల్చెబా	1	గామగ్గె
33	సాజీంచుట్టులుసి స్లీరు గానాత- ల్చెబిసి సామినిసిత్రించుసి అపా- రాట్రి	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13	సామారుట్టువ్వెల్లిసి ఉప్పరుసి గాన్యుష్టిల్చెబిసి ఉప్పరుసి సామారుట్టువ్వెల్లిసి ఉప్పరుసిసి మొండ్గిల్లె గాన్యుష్టిల్చెబిసి ఉప్పరుసిసి మొండ్గిల్లె మినిసిత్రించి తాణుశ్చెమ్చీ మతాగారిం భుల్లాల్చుర్తిరుం ఉప్పరుసి ఇన్సప్చెక్టించరిం సాస్కోల్లిం ఇన్సప్చెక్టించరిం ఇన్సప్చెక్టించరిం-మేతండిసిత్తిం ఇన్సప్చెక్టించరిం-ర్యుచించిరిం మేతండిసిత్తిం ఇన్సప్చెక్టించరిం మతాగారిం భుల్లాల్చుర్తిరిసి మొ- ండ్గిల్లె

1	2	3	4
		14	უფროსი ბულალტერი
		15	უფროსი ეკონომისტი
		16	სტატისტიკოსი
		17	ეკონომისტი
		18	უფროსი ინჟინერი
		19	ინჟინერი
		20	უფროსი რევიზორი
		21	რევიზორი
		22	კანცელარიის გამგე
		23	მემანქანეთა ბიუროს გამგე
		24	არქივის გამგე
		25	სამეურნეო ნაწილის გამგე
		26	მემანქანე
		27	მდივან-მემანქანე
		28	საქმის მწარმოებელი

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშვარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
 სააღრიცხვო საკონტროლო ნომენკლატურულ
 თანამდებობათა სია

№	დაწესებულების დასახელება	№	თანამდებობა
1	აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი		
	1. საშუალო და რეაწლიანი სკო- ლა-ინტერნატი	1	დირექტორი
	2. საბავშვო სახლი	1	დირექტორი
2	ქ. თბილისი		
	1. საშუალო სკოლა	1	დირექტორი
	2. სკოლა-ინტერნატი	1	დირექტორი
	3. საბავშვო სახლი	1	დირექტორი
3	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული რაიონი და ქალაქი		
	რეაწლიანი სკოლა და რეაწლია- ნი სკოლა-ინტერნატი	1	დირექტორი

საქართველოს სსრ განათლების
 მინისტრის თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაქთა პროფესიირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1971 წლის 9 აპრილის

დ ა დ გ თ ხ ი ლ ე ბ ა

მესამე საკაფეირო პედაგოგიური კითხვისა და XXI რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის
ჩატარების შესახებ

საკაფეირო პედაგოგიური კითხვა და რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რომლებიც დიდად უწყობენ ხელს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფას, მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის კაფეირის განმტკიცებას, მეცნიერული კვლევების ეფექტურობის ამაღლებას.

კომუნისტურ მუშაქებლობაში სკოლის როლის გაძლიერებასთან დაკავშირებით მასწავლებლობის წინაშე მეტად სერიოზული ამოცანები დაისახა სკკპ „ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენურის დადგენილების „სოფლის მეურნეობის დარგში პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ“ ცხოვრებაში განხორცილებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რთული ამოცანები აქვს გადასაჭრელი სოფლის სკოლას.

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭიროა სისტემატურად განზოგადდეს ცალკეული სკოლებისა და მასწავლებლების მიერ მოპოვებული წარმატებანი მოწინავე გამოცდილების მასობრივ პრაქტიკაში ფართოდ დანერგვის მიზნით. ამ მხრივ რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოებრიობის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა XX რესპუბლიკური „სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია, რომელ-

ზედაც წარითხული მოხსენებების უმრავლესობა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის პრობლემატური საკითხების პრაქტიკაში განხორციელების ორიგინალური ხერხებისა და მეთოდების კვლევაში ძიების ნიმუშებს წარმოადგენდნენ. მაგრამ, აღნიშნული წარმატებების მიუხედავად, წაკითხულ მოხსენებათა გარკვეული ნაწილი თავისი თეორიული და მეთოდური დონით ვერ პასუხობდნენ სადლეისო მოთხოვნებს.

სსრკ განათლების სამინისტროს კოლეგიის პედაგოგიის მეცნიერებათა აქადემიის პრეზიდიუმისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფესიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1973 წელს ტარდება მესამე საკავშირო პედაგოგიური კითხვა. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში საქართველოს სსრ მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა აქტიური მონაწილეობისა და XXI რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

◦ დ გ ე ნ ე ნ:

1. XXI რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია, ჩატარდეს 1972 წლის მარტის არდადეგების პერიოდში.

2. რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მომზადებისა და ჩატარებისათვის, აგრეთვე III საკავშირო პედაგოგიურ კითხვაში რესპუბლიკის მასწავლებელთა ორგანიზებული მონაწილეობისათვის შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი; დავალოს ორგანიზეტს შეიმუშაოს მორიგი რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის. პლენარულ სხდომათა დღის წესრიგი და განსაზღვროს სექციების მუშაობის შინაარსი; შეაჩინოს საუკეთესო მოხსენებები და შეიმუშაოს ღონისძიებანი III საკავშირო პედ. კითხვაში რესპუბლიკის მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობისათვის.

3. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა (დირექტორი გ. ფოფხაძე) მიმდინარე წლის 10 მაისამდე წარმოადგინოს წინადადებანი ორგანიტეტის შემადგენლობის შესახებ.

4. პედაგოგიური კითხვის თემატიკაში გათვალისწინებული იქნეს ის მოხსენებები, რომლებიც სრულად ასახავენ სკოლუბრი, ცალკეული პედაგოგების მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებისა და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებისათვის გაწეულ მუშაობის შედევებს, სკოლების ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასცლასთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემების დაძლევის გზებს და სხვ.

5. დაწყებითი სკოლის მუშაობის სრულად განზოგადების მიზნით შეიქმნას შემდეგი სექციები: მოსამზადებელ კლასში მუშაობის, დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების, მცირე კომპლექტიან სკოლებში მუშაობის და მოხარულთა კომუნისტური ორგანიზაციისა.

6. XXI რესპუბლიკურ კონფერენციაზე შემოსულ მოხსენებათა რეცენზირება, მომხსენებელთათვის სათანადო დახმარებისა და კონსულტაციების გაწევა, საკავშირო პადაგოგიური კითხვისათვის საუკეთესო მოხსენების შერჩევა და მომხსენებელთა მომზადება დაევალოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. წარმოდგენილი მოხსენებების შერჩევისა და რეცენზირების საქმეში აქტიურად იქნეს ჩაბმული აგრეთვე მასშავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი.

7. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფესიონალის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა განიხილონ საკითხი რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაში ფართო პედაგოგიური საზოგადოებრიობისა და პროფორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

8. ეთხოვოს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასა და საჭაროებელოს პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალურ სამსახურს აქტიური მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში, საჭავშირო პედაგოგიურ კითხვასთან დაკავშირებულ ლონისმიერებათა განხორციელებაში.

9. მიზანშეწონილად ჩაითვალოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წაკითხული საუკეთესო მოხსენებების აღნიშვნა პრემიებით. რისთვისაც დაწესდეს 20 ფულიდა ბრე-

მია თვითონეული 30 მანეთის ოდენობით. საკავშირო პედაგოგული კითხვაზე რესპუბლიკიდან წარდგენილი საუკეთესო მოხსენებების აღნიშვნისათვის დაწესდეს იგრეთვე 5 პრემია, თითოეული 50-იანი ნეთის ოდენობით. პროფესიული რესპუბლიკურმა კომიტეტმა გამოყოს სათანადო თანხა პრემიისათვის.

10. ეთნოგოს საქართველოს პედაგოგიური საზოკადოების ცენტრალურ საბჭოს ამავე მიზნებისათვის გამოყოს საჭირო სახს-რები და საზღვარგარეთის ქვეყნების 5 საგზური კონფერენციაზე საუკეთესო მოხსენების ავტორთა წასახალისებრლად.

11. ეთნოგოს გამომცემლობა „განათლებას“ გაითვალისწინოს 1972—1973 წლების საკამომცემლო გეგმებში სამეცნიერო-პედა-გოგიურ კონფერენციასა და საკავშირო პედაგოგიურ კითხვაზე გა-მოტანილი საუკეთესო მოხსენებების დაბეჭდვა თემატური კრებუ-ლების სახით . (5—6 კრებული თითოეული 5 ფორმამდე მოცუ-ლობის).

12. დაევალოს უურნალ „სკოლა ცხოვრების“ რედაქციას უურნალსა და მის დამატებებში დაბეჭდოს სამეცნიერო-პედაგო-გიურ კონფერენციათა და საკავშირო პედაგოგიურ კითხვაზე გატა-ნილი საუკეთესო მოხსენებები.

13. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ სისტემატურად გააშუ-ქოს რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისა და საკავშირო პედაგოგიური კითხვებისათვის მზადების მიმღინარეობა და სისტემატურად გამოაქვეყნოს მასალები ამ ღონისძიებათა მონა-წილეობის გამოცდილებიდან.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკო-
ლისა და სამეცნიერო დაწესე-
ბულებების მუშაკთა პროფესიუ-
ლის რესპუბლიკური კომი-
ტეტის თავმჯდომარე

დ. იოსელიანი

საბჭოთა კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის
 საკავშირო პედაგოგიური კითხვების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. ზოგადი ნაწილი

1. საბჭოთა კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის
 პადაგოგიური კითხვების ამოცანები:

საბჭოთა სკოლების და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და მისი პრაქტიკაში დანერგვისათვის ხელშეწყობა;

მასწავლებელთა მეცნიერული და მეთოდიური დონის სრულყოფისათვის ხელის შეწყობა, შემოქმედებითი ინიციატივისა და მეცნიერული ინტერესების განვითარება;

მასწავლებელთა სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობაში ჩაბმა
 მოზარდი თაობის აღზრდის აქტუალური პრობლემების დასამუშავებლად.

საკავშირო პედაგოგიური კითხვის შინაარსი და თემატიკა
 განისაზღვრება კომუნისტური შენებლობის თანამედროვე ეტაპზე
 მოზარდი თაობის კომუნისტური სწავლებისა და აღზრდის აქტუალური ამოცანებით.

2. საკავშირო პედაგოგიურ კითხვებში შეიძლება მონაშილეობა მიიღონ მასწავლებლებმა, სკოლის ხელმძღვანელებმა, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, სახალხო განათლების ორგანოების მუშაკებმა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და მეთოდური კაბინეტების თანამშრომლებმა, უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების პროფესორებმა და მასწავლებლებმა: აგრეთვე პარტიული, საბჭოთა პროფესიონალური და

კომენტარიული ორგანიზაციების მუშაქებმა, სახელმწიფო, საკოლ-
მეურნეო-კოოპერაციული დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი
